შეთანხმების ოქმი №1

ქ. თბილისი

03 ოქტომბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ **სსიპ "შემოსავლების სამსახური"** (შემსყიდველი), ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით და მეორეს მხრივ **შპს „გლობუსი ემ-ბე"** (მიმწოდებელი), მისი დირექტორის მაყვალა ბეშიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1.შეთანხმების საგანი

1.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2016 წლის 03 ოქტომბერს გაფორმებულ N2/111 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1.2 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.2 პუნქტის განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის დასახელება შეიცვალოს და განისაზღვროს შემდეგი სახით:

„ა) 5 (ხუთი) ერთეული დროშა, მასალა - შიდაგამოყენების შესაბამისი სადროშე მასალა; აქედან 2 უნდა იყოს ევროკავშირის დროშა და სამი თურქეთის დროშა, ერთეულის ღირებულებით 20 (ოცი) ლარი, მთლიანი ღირებულებით 100.00 (ასი ლარი და 00 თეთრი) ლარი;

ბ) 2 (ორი) ერთეული დროშა, მასალა - საქართველოს დროშა, შიდაგამოყენების შესაბამისი სადროშე მასალა; ერთეულის ღირებულებით 16 (თექვსმეტი) ლარი, მთლიანი ღირებულებით 32.00 (ოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი;

გ) 8 (რვა) ერთეული დროშა, პატარა ზომის მაგიდაზე დასადგამად, აქედან 4 უნდა იყოს საქართველოს დროშა და ოთხი თურქეთის დროშა, ერთეულის ღირებულებით 4 (ოთხი) ლარი, მთლიანი ღირებულებით 32.00 (ოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი;

დ) 6 (ექვსი) ერთეული დროშის სადგამი, ფლაგშტოკი, ერთეულის ღირებულებით 90 (ოთხმოცდაათი) ლარი, მთლიანი ღირებულებით 540.00 (ხუთას ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი;

ე) 6 (ექვსი) ერთეული დროშის გამშლელი სარტყელი, ფლაგშტოკი, ერთეულის ღირებულებით 15 (თხუთმეტი) ლარი, მთლიანი ღირებულებით 90.00 (ოთხმოცდაათი) ლარი;"

საფუძველი: შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 05 ოქტომბრის N27893 ბრძანება.

2.შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 03 ოქტომბერს გაფორმებული N2/111 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „შემოსავლების სამსახური"
ქ. თბილისი გორგასლის ქ. #16
ს/კოდი: 204525585

გიორგი გომარელი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებელი:
შპს „გლობუსი ემ-ბე"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 141ა, ბ.3 №7
ს/კოდი: 202446969

მაყვალა ბეშიძე
დირექტორი